

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის  
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

ანგარიში

2024 წ. პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წელი

## 1. შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

## 2. მოკლე მიმოხილვა

2024 წლის წლიური გეგმა დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 დეკემბრის №68 68223403 ბრძანებით. გეგმით გათვალისწინებული იყო 7 ობიექტის შემოწმება: 1) ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“, 2) ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“, 3) მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, 4) მერის წარმომადგენელთა საქმიანობა, კონტროლის სისტემის ფუნქციონირება, 5) ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, 6) მერიის IT აუდიტი მმართველობა, 7) ა(ა)იპ, სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“. აღნიშნული ობიექტები შერჩეულ იქნენ რისკის შეწონვის მიხედვით და მოხვდნენ უფრო მაღალი რისკის მატარებელთა რიცხვში. რისკის განმსაზღვრელად შეირჩა შემდეგი რისკ-ფაქტორი: ბიუჯეტის გავლენა/ხარჯების მოცულობა, დარღვევების ალბათობა, დანაკარგი, თაღლითობა; შიდა კონტროლის ხარისხი, წინა აუდიტორული შემოწმების ჩატარების ხანგრძლივობა და შედეგები, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება, საკადრო ცვლილებები, ფუნქციონირება შესრულება, ორგანიზაციული პროცესის რისკის დონე, მონაცემთა დაცვა, კონტროლები, IT ტექნოლოგიებზე პირთა ზეგავლენა.

## 3. განხორციელებული ღონისძიებები

15.01.2024წ – 06.03.2024წ. პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“. შემოწმდა 2023 წლის 01

იანვრიდან - 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდი. ორგანიზაციას ჰქონდა ხარვეზები მუშაობაში და მიეცა 3 რეკომენდაცია. ხარვეზები იყო შემდეგი:

საანგარიშო პერიოდის გაერთიანების ხელმძღვანელის ზოგიერთ ბრძანებაში არასწორადაა გაანგარიშებული თანამშრომლის შვებულებიდან დაბრუნების თარიღი, თუმცა, საშვებულებო თანხა შვებულების დღეების შესაბამისი ოდენობითაა გაცემული, მაგალითისთვის მოვიხმობთ ტარიელ ჩუბინიძის შვებულების ბრძანებას. შრომითი ხელშეკრულების დადების და ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ხელმძღვანელის ბრძანებებში მითითებული თარიღები ზოგ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად, 2023 წლის აგვისტოსა და მაისის თვეებში შედგენილ შრომით ხელშეკრულებებზე და ბრძანებებზე: მ. ასათიანის, რ. კამკამიძის, ლ. ნანიტაშვილის, კ. სახვაძის, ე. კალანდაძის, ა. გოგნაძის და სხვათა ბრძანებებზე შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. აღნიშნული ხარვეზის მიზეზად საქმის მწარმოებელმა ლია მაჩიტაძემ დაასახელა კომპიუტერების გაუმართაობა და ელექტრონული პროგრამის შეფერხებით მუშაობა, თუმცა, შიდა აუდიტორები მოცემულ განმარტებას ვერ გაიზიარებენ, რადგან პროგრამაში დოკუმენტი შექმნილია ხელშეკრულების შედგენიდან მე-2 ან მე-3 დღეს-მაგალითად, მ. ასათიანის ბრძანება. ის შედგენილია 2023 წლის 5 მაისს, ხელშეკრულება დათარიღებულია 01 მაისით, ხოლო პროგრამაში ბრძანებაზე მუშაობა დაწყებულია 02 მაისს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა. აქედან გამომდინარე, სამსახურში მიღების შესახებ ბრძანების თარიღი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დადების თარიღს. აღნიშნული შესაბამისობის რისკის აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია დამატებითი კონტროლის ჩაშენება, კერძოდ, ბრძანებებმა ვიზირება გაიაროს იურისტთან. აღნიშნული საკითხები შეიცავს პროფესიულ რისკს.

გაერთიანებას ბიუჯეტში აქვს ხშირი ცვლილებები სხვადასხვა კლასიფიკაციაში, კერძოდ, განხორციელებულია ცვლილება: 2023 წლის 27 თებერვალს, 31 მარტს, 15 აპრილს, 27 აპრილს, 08 ივნისს, 23 ივნისს, 28 ივნისს, 21 ივლისს, 31 აგვისტოს. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას რისკი, რომ თუ დადგება მოვლენა და მისთვის გათალისწინებული თანხა გადასულია სხვა მუხლში და გახარჯულია, შესაძლოა ვერ მოხდეს სწრაფი შევსება და მიზანი, რისთვისაც თანხა იყო გამოყოფილი ვერ შესრულდეს. ასეთი ხშირი ცვლილებები მიუთითებს ბიუჯეტის არასწორ შედგენასა და დაგეგმვაზე. სასურველია დაგეგმვა მოხდეს ისე, რომ საჭიროებები კარგად იქნას დანახული და გაწერილი, რათა არ გახდეს საჭირო ხშირი ცვლილებები. უფრო მეტი თანხა გამოიყოს დიდი მოთხოვნის მქონე საჭირო ოპერაციაზე, მაგალითად, როგორცაა ნარჩენების გატანა.

საყურადღებოა სამტატო განრიგებში ხშირი, თითქმის ყოველთვიური ცვლილება და ახალი შტატების დაშვება.

გაცემული რეკომენდაციები:

1. ყურადღება მიექცეს ობექტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტების უშეცდომოდ შედგენას. ბრძანებებში სწორად მიეთითოს შრომითი ხელშეკრულების ვადებთან დაკავშირებული და შვებულების დღეების განსაზღვრის საკითხები.
2. ყურადღება მიექცეს შესყიდვების ხელშეკრულებების დადასტურებას და ანგარიშსწორების დოკუმენტების სისწორეს.
3. სასურველია შესყიდვების გეგმაში ცვლილება შევიდეს ხელმძღვანელის აქტით და შემდეგ აიტვირთოს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“-ის შიდა აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა 2024 წლის 18 მარტიდან 22 მაისამდე. შემოწმებული იქნა 2022 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდის საქმიანობა. აუდიტის სახე-ფინანსური, შესაბამისობის და სისტემური აუდიტი. გაიცა 4 რეკომენდაცია.

**შიდა აუდიტორული აღმოჩენები იყო შემდეგი:**

ბაღების გაერთიანებას ნაწარმოები აქვს შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალი და ხელმძღვანელის ბრძანებების წიგნები. შესამოწმებელი პერიოდის საკადრო საკითხებზე შედგენილ ბრძანების წიგნებში შედგენილია ბრძანებები, თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ, რომლებშიც არაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის ვადა მითითებული, თუმცა ვადა მითითებულია შრომით ხელშეკრულებაში, მაგალითად: 2022 წლის 07 მარტის N2-15, 03.04.2023წ N1/16, 21.09.2023 N1/36, 19.10.2023წ N1/46 ბრძანებები. რადგან ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ვადა, ხელმძღვანელის საკადრო ბრძანებაშიც, თანამშრომლის დანიშვნის შესახებ, მითითებული უნდა იქნას შრომითი ურთიერთობის ვადა, რამეთუ ორივე დოკუმენტი ერთნაირი ძალის მქონეა, ორივე შრომითი ურთიერთობის დაწყებას ადასტურებს. ასევე, არაა შედგენილი ბრძანებები შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. აღნიშნული ხარვეზი არის კანონშეუსაბამო.

შესყიდვის შესახებ ზოგიერთი ხელშეკრულება, სპვ კოდების მიხედვით, დადებულია იმდაგვარად, რომ აღნიშნული კოდით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვის ღირებულება აჭარბებს გეგმას, თუმცა, ერთიანობაში შესყიდვის გეგმას გადაციებული არაა და არც მონეტარული ზღვრებია დარღვეული. მაგალითად, სპვ კოდე 3900000 გეგმით გათვალისწინებულია 3500 ლარის გახარჯვა და გახარჯულია-4906 ლარი, სხვაობაა 1406 ლარი; სპვ კოდით 31200000 გეგმაა1000 ლარი, შესყიდულია 1094 ლარის საქონელი, სხვაობა-94 ლარი; სპვ კოდით 31500000 გეგმა2000 ლარი, შესყიდულია 2177 ლარის საქონელი, სხვაობაა-177 ლარი; სპვ კოდით 44400000 გეგმაა4500 ლარი,

გახარჯულია 4830 ლარი, სხვაობა-330 ლარი. 2023 წელს სპვ კოდით 39500000 გეგმით გათვალისწინებულია 4900 ლარის ღირებულების შესყიდვა, შესყიდულია 6339 ლარის, სხვაობა-1434 ლარი; ამავე წელს სპვ კოდით 30100000 შექმნილია 5733 ლარის საქონელი, ხოლო გეგმით იყო გათვალისწინებული 4500 ლარის შესყიდვა, სხვაობა-233 ლარი; სპვ კოდით 31500000 გეგმა 2000 ლარი შესყიდულია 5810 ლარის საქონელი, სხვაობა-3810 ლარი. აღნიშნული მიუთითებს სპვ კოდების მიხედვით შესყიდვების არასწორ დაგეგმვაზე, რადგან საჭიროებები გონივრულად არაა განსაზღვრული. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოქმნას თანხის არაეფექტურად ხარჯვის რისკი (ფინანსური რისკი).

2022 წლის 15 აგვისტოს დადებულია სატრანსპორტო მომსახურების შესახებ შესყიდვის ხელშეკრულება N85, რომლისთვისაც მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, გადახდილია 80 ლარი, ხარაგაული-ვერტყვიჭალა-ხევი-ნადაბურის სვლა- გეზით. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილია კალკულაცია ღირებულებით 55 ლარი ვერტყვიჭალის სვლა-გეზზე. მიღება-ჩაბარების აქტში გაანგარიშებულია მთელი მარშრუტის ღირებულება. მთავარი ბუღალტრის განმარტებით, აღნიშნული არის ცდომილება, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ყველა ნახსენები სვლა-გეზი მდებარეობს ერთ ზონაზე (ერთი მიმართულებით). ასეთივე ცდომილებაა 2023 წელს დადებულ ანალოგიურ ხელშეკრულებაზეც N 32. ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სვლა-გეზი ერთი მიმართულებით მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებს მოიცავს. ბაღების გაერთიანების შემოწმების ფარგლებში, შერჩეული იქნა 9 (ცხრა) საბავშვო ბაღი: ხარაგაულის №1, №2, ბორითის, ვერტყვიჭალის, კიციხის, ხიდარის, ბორის ლელვანის, საღანძილის ბაღები. აღნიშნულ ბაღებში შემოწმდა აღმზრდელი პროცესი, კვების შესაბამისობა ყოველდღიურ მენიუსთან, საკვები პროდუქტების ფაქტიური ნაშთები თითოეული ბაღის საწყობში. აგრეთვე დათვალერებული იქნა შენობები და მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

ზოგიერთ შემოწმებულ ბაღში, კვების პროდუქტებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად არსებული ნაშთის ოდენობა ზოგიერთ პროდუქტზე არ ემთხვევა ბუღალტერიაში არსებულ შესაბამის მონაცემს. აღნიშნულმა უზუსტობებმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური რისკი, კერძოდ, არაეფექტური ხარჯვა.

. რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

1. კადრების მიღებასთან დაკავშირებული ხელმძღვანელის ბრძანება შედგეს სრულყოფილად.
2. გაძლიერდეს ხელმძღვანელის მხრიდან კონტროლი პროდუქტების სწორად აღრიცხვასა და განაწილებაზე.
3. სატრანსპორტო მომსახურების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში შემსრულებლისგან ხელშეკრულებაში მითითებული სვლა-გეზების შესაბამისი კალკულაცია იყოს წარმოდგენილი და კალკულაციის შესაბამისი იყოს ანაზღაურება. ანაზღაურება განხორციელდეს შესრულების შემდეგ.

4. სპვ კოდების მიხედვით შესყიდული მომსახურების ღირებულება არ აღემატებოდა სპვ გეგმას.

**მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. შიდა აუდიტის ჩატარების პერიოდი მოიცავდა 01.09.2019წ-01.09.2023წ. შიდა აუდიტის ჩატარების ვადა იყო 2024 წლის 20 მაისიდან 05 ივლისამდე . გაიცა 2 რეკომენდაცია.**

**აუდიტორული აღმოჩენები:**

სამსახურის წლიური ანგარიშებიდან ირკვევა, რომ სამსახურის ორგანიზებით, შესამოწმებელ პერიოდში, განხორციელებულია კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფუნქციები გადაჯაჭვულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობასთან, რაც იწვევს ფუნქციათა გაორებას. კერძოდ: ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში გაწერილია ფუნქციის ისტორიისა და კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეკრება, დაკომპლექტება, მოვლა, დაცვა. სამსახურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი ფუნქციაა სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალ დაწესებულებებში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრის დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის და ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ის ფუნქციები ეროვნული სიმდიდრის დაცვის ნაწილში დუბლირებულია, ემთხვევა ერთმანეთს, რადგან ფაქტობრივად ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს ისტორიისა და კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები.

სამსახურის ხელმძღვანელის მიერ შედგენილია სამსახურის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, მაგრამ ის აარაა დამტკიცებული მერის მიერ სათანადო წესით. თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით, მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტს დაკისრებული აქვს მოზარდების თავისუფალი დროის ორგანიზების ფუნქცია. ასეთივე ფუნქცია აკისრია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსაც“. წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“: „ხელს უწყობს მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზებას“. მართალია ფორმულირება ცოტათი განსხვავებულია, მაგრამ შინაარსი იდენტურია, რადგან მოსწავლე და მოზარდი ერთი და იგივე ინდივიდის კატეგორიაა. ასეთი დუბლირებული სახით თუ დამტკიცდება თანამდებობრივი ინსტრუქცია, ეს იქნება კონტროლის სისტემის სუსტი ჯაჭვი, რაც გამოიწვევს სისტემურ რისკებს. ფუნქციათა დუბლირება ესაა კონტროლის სისტემის

გაუმართაობის მაჩვენებელი, რაც მენეჯმენტის დაბალმა და მაღალმა რგოლმა ერთობლივად უნდა გამოასწოროს, თუნდაც, სამსახურის დებულების ცვლილების საფუძველზე და სწორად და მკაფიოდ გაიმიჯნოს ფუნქციები.

ფუნქციათა დუბლირების საილუსტრაციოდ გამოდგება ისიც, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშებში აღწერილია ისეთი ღონისძიებები სამსახურის აქტივობად, რომელსაც წესდებით ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირები, კერძოდ, ყოველწლიურად ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ანზორ მალრამის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში, ასევე ტურნირი ძიუდოში. ასეთი ტურნირების მოწყობა აღნიშნულ ა(ა)იპ-ის ფუნქციას წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად. იგივეა ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ განხორციელებული აქტივების შემთხვევაშიც, კერძოდ ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავებში“ მონაწილეობა, რომელსაც სამუსიკო სკოლა თვითონ ახორციელებს. აღნიშნული ფუნქცია მას წესდების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით აქვს მინიჭებული. ასევე მუსიკალური ბენდი „გრავეს“ ფუნქციონირება, რომელიც შექმნილია სამუსიკო სკოლაში და მის მიერ ფინანსდება. ასევე სამსახურის ანგარიშში მრავლადაა აღწერილი თეატრალური ღონისძიებები, რომლებიც ეწყობა ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ, თავისი წესდების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად. სამსახურს უფრო მეტი ყურადღება დათმობილი აქვს საქმიანობაზე კულტურის მიმართულებით და სამსახურის სხვა ფუნქციები უფრო ნაკლებადაა გააქტიურებული. აღნიშნული რისკებიდან გამომდინარე, სამსახურის ფუნქციონირება იმდაგვარად უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს ფუნქციათა დუბლირება. ამისთვის კარგი საშუალებაა სამსახურის მიერ ახალი მრავალფეროვანი ღონისძიებების განხორციელება, სხვადასხვა პროგრამების შექმნა სამსახურის თანამშრომელთა ჩართულობით და ინიცირებით და მათი ხელშეწყობა სამსახურის ხელმძღვანელის აქტიურობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია ხარჯები კულტურული ღონისძიებებისთვის, რომლის ხარჯვაც ხდება მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად. მოთხოვნის წარდგენა ხდება სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათით, რის საფუძველზეც ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, საჭირო მომსახურებაზე, სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. მოხსენებით ბარათებში არის ხარვეზები. ზოგიერთ მათგანში არაა მითითებული რა პროდუქტის შესყიდვაა საჭირო და რა ოდენობით, მითითებულია მხოლოდ საჭირო თანხის ოდენობა, მაგალითად, მოხსენებითი ბარათები: N04-682118053, 29.06.2021წ; N485-49, 28.05.2021წ; N263-49, 30.03.2021წ; N04-6822315001, 11/11/2022წ; N 04-682206655, 07/03.2022წ. ზოგიერთ შემთხვევაში, მოხსენებითი ბარათების შედგენისას დაშვებულია უზუსტობები, კერძოდ, ერთსა და იმავე საკითხზე რამდენიმე მოხსენებითი ბარათია წარდგენილი სხვადასხვა თარიღით, მაგალითად, 2022 წელს

ჩატარებული იქნა თეატრალური სპექტაკლი, რომელზეც მოწვეულ სტუმრებს უმასპინძლეს შპს „ანტრე ბატონო 7“-ში. აღნიშნულ საკითხზე ბარათები შედგენილია: 2022 წლის 01,10, 16 აგვისტოს თარიღებით. 2018 წელს დადებულია N167, N151-1 ხელშეკრულებები დოღში გამარჯვებული ცხენებისთვის ქერის შესყიდვის შესახებ. ერთ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია ინდ. მეწარმე „ნათელა ზიზიბაძესთან“, რომელსაც ასეთი პროდუქტის რეალიზება არასდროს განუხორციელებია. სამსახურს აღნიშნულზე მოხსენებითი ბარათი არ აქვს შედგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შესყიდვაზე პასუხისმგებელი სამსახურის მენეჯერთან უკუკავშირი სუსტი იყო. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 1050 კგ ქერი 756 ლარის ღირებულების, მეორე შემთხვევაში-300კგ, 500 ლარის ღირებულების. აღნიშნული ოდენობის ქერის შესყიდვა შეუსაბამოა საჭიროებასთან, რაც არეფექტური ხარჯვის ნიშანია. 2023 წელში ასეთი ხარვეზები აღარაა, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხებზე რეკომენდაციებს შიდა აუდიტორები არ გასცემენ, რადგან რისკი მინიმუმადეა დაყვანილი ან აღარ არსებობს.

სამსახურს არ აქვს დაარქივებული მის მიერ განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტები ერთ სისტემაში არც ელექტრონული და არც მატერიალური სახით, რაც იწვევს მათი გაფანტვის და/ან დაკარგვის რისკს.

რეკომენდაციები:

1. აღმოფხვრილი იქნას დუბლირებები და ყურადღება მიექცეს სამსახურის ყველა მიმართულების გააქტიურებას;
2. სამსახურის აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები შეიკრას კანონით დადგენილი წესით ფორმალური სახით და ასევე ელექტრონულად.

**შემოწმება ჩაუტარდა მერის წარმომადგენელთა საქმიანობას. შიდა აუდიტის ჩატარების პერიოდი მოიცავდა 01.01.2023 წ - 30.06.2024 წ პერიოდს. შიდა აუდიტის ჩატარების ვადა იყო 2024 წლის 2 ივნისიდან 31 ივლისამდე პერიოდი. გაიცა 2 რეკომენდაცია.**

**აუდიტორული აღმოჩენები:**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს, შესამოწმებელ პერიოდში, ნაწარმოები აქვთ შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალები. ჟურნალები უმეტეს შემთხვევაში არ იყო სათანადოდ დანომრილი და დალუქული, ზოგიერთ შემთხვევაში, ჟურნალი არ იყო სრულყოფილად შევსებული, რითაც დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ 38-ე მუხლის მოთხოვნები.

შესამოწმებელ პერიოდში, წარმომადგენლების მიერ, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, გაცემულია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, ასევე ცნობები სამკვიდრო ქონების ფლობის ფაქტის დადასტურების შესახებ, გაცემულია შუამდგომლობები

მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის დახმარების მისაღებად, ოქმები ფაქტების, ინფორმაციის მოკვლევის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, განცხადებები არაა წერილობით შედგენილი. წარმომადგენელთა განმარტებით, განცხადებების წარმოდგენა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ავტორები ძირითადად ხანდაზმულები არიან და არ შეუძლიათ გადაადგილება ან განცხადების შედგენა. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს თაღლითობის და შეცდომის რისკი, კერძოდ, მომსახურება და მიიღოს არაუფლებამოსილმა პირმა, ან შეცდომით შედგეს დოკუმენტი. აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის სასურველია წარმომადგენელთა აღჭურვა კომპიუტერული სისტემით, რითაც გაიოლდება დოკუმენტბრუნვა და კომუნიკაცია მენეჯმენტთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ წარმომადგენელს თავის მიერ შედგენილი დოკუმენტები არ აქვს შენახული ან სრულად არ აქვს შენახული და თავისთავად არ აქვს არქივი ნაწარმოები, რითაც დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ მე-40-ე მუხლის მოთხოვნები. აღნიშნული იწვევს დოკუმენტების გაფანტვის და თაღლითობის რისკს(კერძოდ, დოკუმენტის გაყალბება).

გაცემული რეკომენდაციები:

1. სარეგისტრაციო ჟურნალის ყველა გრაფა იქნას შევსილი. ჟურნალი დაინომროს და დაილუქოს კანონის შესაბამისად.
2. წარმომადგენლების მიერ შედგენილი დოკუმენტები იქნას შენახული და დაარქივებული სათანადო წესით.

**ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შემოწმება მიმდინარეობდა 2024 წლის 05 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე. შემოწმდა 2020 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდი. გაიცა 4 რეკომენდაცია.**

აუდიტორული აღმოჩენები:

საწვავის შესახებ აღრიცვა ნაწარმოებია შემოსავალ-გასავლის უწყისის მიხედვით. ჯანდაცვის ცენტრის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანაზე „ნივა“-GC033CG-ზე საწვავის ხარჯი აღირიცხება მეხსიერების ბარათით, ასევე ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად იყენებს პირად ავტომობილს, რომელზეც საწვავს მოიხმარს ბარათის მეშვეობით, რომელიც აისახება მხარეებს შორის ანგარიშსწორების უწყისში. ამ შემთხვევაში საწვავის ხარჯის რისკს წარმოშობს ის, რომ შესამოწმებელ პერიოდში, განხორციელებულია ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა გასვლითი აქტივობები, მაგალითად, წყლის სათავე-ნაგებობების დაბინძურების გამო სოფელ წიფაში, თეთრაწყაროში 2023 წელს, ასევე ჩატარებულია სხვადასვა სემინარები, რაც დადოკუმენტირებული არაა, საწვავის ხარჯი კი ფიქსირდება. მართალია ჯანდაცვის ცენტრის ფეის ბუქ გვერდზე ატვირთულია მოცემული აქტივობების დამადასტურებელი მასალა, მაგრამ ეს არაა საკმარისი რისკის შესამცირებლად, დადასტურებული უნდა მოხდეს შესაბამისი დოკუმენტების

შექმნით, მაგალითად ოქმით, რაც ნათელს მოჰფენს საწვავის ხარჯსაც. 2020-2021 წლებში მონიტორინგის და ზედამხედველობის განსახორციელებისთვის გადასაადგილებლად გამოყენებულია სახელმწიფო შესყიდვაც სატრანსპორტო მომსახურების შესახებ.

2022-2023 წლებში შედგენილ დოკუმენტებში მივლინების შესახებ, ხშირ შემთხვევაში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, ერთდღიანი მივლინების ბარათზე მივლინების ადგილიდან გამოსვლის გრაფაში მომდევნო დღეა მითითებული, რაც ნიშნავს, რომ მივლინება 2 დღიანია, თუმცა, მივლინების შესახებ ბრძანებაში მივლინება 1 დღიანია და ანაზღაურებაც 1 დღეზეა გაცემული. აღნიშნული შეცდომის ასეთი სიხშირე წარმოშობს ფინანსურ რისკს, კერძოდ, ის, რომ შესაძლებელი იყო ანაზღაურება 2 დღეზე მომხდარიყო შეცდომით, ან კიდევ უფლებამოსილ თანამშრომლებს უბიძგოს მატერიალური სარგებლის მიზნით გარიგებისკენ კუთვნილზე მეტი სამივლინებო თანხის მისაღებად.

2020-2021 წლების მივლინების ზოგიერთ ბრძანებაში არაა მითითებული მივლინების ადგილი. ამავე პერიოდის შვებულობის ზოგიერთ ბრძანებაში არაა მითითებული შვებულების დღეების რაოდენობა. აღნიშნული არის დაბალი რისკის მატარებელი და არ საჭიროებს დამატებით კონტროლს, რადგან შემდეგ წლებში აღარაა ასეთი შეცდომა დაშვებული.

2020-2022 წლებში შედგენილია თანამშრომელთა სამსახურში დანიშვნის ბრძანებები, რომლებშიც არაა ხელშეკრულების ვადა მითითებული, შრომით ხელშეკრულებებში კი, ვადები მითითებულია. აღნიშნული არის შესაბამისობის რისკი შრომით ხელშეკრულებასთან. ბრძანებაში ასახული ინფორმაცია უნდა ემთხვეოდეს ხელშეკრულებისას. ეს მცირე რისკია, რადგან შემდეგ წლებში არ განმეორებულა.

ჯანდაცვის ცენტრში ჩატარებულია ინვენტარიზაცია. 2023 წლის ინვენტარიზაციის აქტში არაა სრულყოფილად ასახული ძირითადი საშუალებები, კერძოდ, 2 კომპიუტერი, ასევე 1 „ლეპტოპი“ ისინი არაა ბალანსზე აყვანილი. აღნიშნული რისკი შესაბამისობის და ფინანსური სახისაა და შესაძლოა შექმნას ქონების დაკარგვის, ან თაღლითობის რისკი.

ჯანდაცვის ცენტრის წესდების მიხედვით, მისი ერთ-ერთი ამოცანაა სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლევადიანი პროგნოზირება. ანალიზი ჩატარებულია, მაგრამ არაა პროგნოზირებული ავადობა გრძელ და მოკლევადიან პერიოდში. აღნიშნული ქმნის ავადობის გაზრდის და არასრულყოფილი ანგარიშიშვების რისკს.

რეკომენდაციები:

1. ჯანდაცვის ცენტრის ადმინისტრაციამ ყველა გასვლით აქტივობაზე შეადგინოს დოკუმენტი, რითაც დადასტურდება გასვლის ფაქტი და იქნება ინფორმაცია, რომ გაიხარჯა საწვავიც;
2. ყურადღა მიექცეს სამივლინებო ფურცლის სწორად შედგენას;

3. ყურადღება მიექცეს ინვენტარიზაციის დოკუმენტების სწორად შედგენას; განხორციელდეს პროგნოზი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავადობის გრძელი და მოკლევადიან პერიოდის.

**ჩატარდა მერიის it(ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი). შესწავლილი იქნა ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემის MSDA პროგრამის შესყიდვის შეთანხმებისა და განხორციელების პროცესები. გაცემულია 2 რეკომენდაცია.**

აუდიტორული აღმოჩენები:

მუნიციპალიტეტი საფასურს იხდის მსდა პროგრამის A პაკეტის სრული მომსახურებისთვის, რაც მოიცავს 12 სისტემას, თუმცა, მერიას გააქტიურებული არა აქვს ყველა სისტემა, გააქტიურებულია მხოლოდ შემდეგი სიტემები:

ა) საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (MS DOC);

ბ) კანცელარიის სისტემა (MS Chancellery);

გ) ადამიანური რესურსების მართვის სისტემა (MS HR);

დ) მაღალმთიანი და სოციალური სერვისების მართვის სისტემა (MS MOUNTAIN AND SOCIALS);

მ) მუნიციპალური კალენდარი - (MS Calendar);

დანარჩენი პაკეტები გააქტიურებული არ არის, რაც იწვევს ფინანსურ რისკს, არღვევს ხარჯთსარგებლიანობის პრინციპს- გადახდილი საფასურის ექვივალენტი მომსახურება უნდა იქნას მიღებული.

მომხმარებლის მიერ პროგრამაში შეღწევა ხორციელდება ავტენტიფიკაციით(სახელი,პაროლი). არაიდენტიფიცირებული შეღწევის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

პროგრამა ხორციელდება ძირითადად უწყვეტად, მაგრამ არის საშუალო სიხშირის წყვეტის ფაქტები, რაც გამოწვეულია დენის და ინტერნეტის გათიშვით და ინტერნეტის ხარისხით. აღნიშნულ რისკებს შეიძლება თან სდევდეს უარყოფა, მაგალითად, ინფორმაციის გამგზავნა შეიძლება უარყოს თავისი ქმედება, ასევე პროცესის გაჭიანურება, დავალების შეუსრულებლობა.

დადგენილება არ ითვალისწინებს MSDA პროგრამის მიწოდების შესახებ გარიგებაზე წერილობითი ხელშეკრულების დადებას და მომწოდებელი-მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მესამე პირებს, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ზარალის მიზეზი.

**რეკომენდაციები:**

1. მერიამ უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა აუთვისებელი სისტემების გასააქტიურებლად.

2. მიღებული იქნას ზომები დენის გათიშვის დროს პროგრამის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის, რისთვისაც კარგი გამოსავალი იქნება გენერატორის შეძენა.

3. ინტერნეტის მოწოდება უზრუნველყოფილი იქნას შეუფერხებლად.

**2024 წლის 21 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარდა ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ შემოწმება .შემოწმდა საქმიანობა 2022 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით. გაიცა 5 რეკომენდაცია.**

შრომითი ურთიერთობების მიმართულებით გამოვლინდა რისკის შემცველი საკითხები, კერძოდ:

1. რამდენიმე დასაქმებულს 2024 წელს გადმოტანილი აქვს წინა წლის გაუხარჯავი შვებულება, ზოგ შემთხვევაში 24 დღე, რაც ქმნის რისკს, რომ 2024 წლის შვებულებაც შესაძლოა ვერ გახარჯოს შესაბამისმა პირმა და გადაიტანოს 2025 წელს, რომელიც ფაქტობრივად შვებულების ორჯერ გადატანა გამოვა, რაც აკრძალულია კანონით და გამოიწვევს შესაბამისი რისკებს;

2. „სპორტის ცენტრში“ დანიშნული ექიმის ფუნქციას, თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით, წარმოადგენს მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, როგორც კალენდარული და ამხანაგური, ასევე ვარჯიშების დროს. თუმცა, ვარჯიშების დროს ის ყოველთვის არ იმყოფება სამსახურში. შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მისი სამუშაო დროა 8 საათიანი სამუშაო დღე, რაც რეალურ სურათთან შეუსაბამოა, რადგან დანიშნული ექიმი მოცემულ გრაფიკს ვერ ფარავს. საჭიროა აღნიშნული შრომითი ურთიერთობის დეტალების კორექტირება მოხდეს ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით;

3. „სპორტის ცენტრის“ ინვენტარი თავმოყრილია და ინახება საკეტიან ოთახში, მაგრამ პასუხისმგებელი პირი არაა დანიშნული მისი მოვლა-შენახვისთვის, რაც იწვევს ინვენტარის დაზიანების და დაკარგვის რისკს.

2022 წელს შესყიდვის გეგმა შეადგენს 33701 ლარს, გახარჯულია-33667.90 ლარი. 2023 წელს გეგმა 37756, გახარჯულია-37211.99 ლარი. 2024 წლის გეგმა შეადგენს 51117 ლარს, გახარჯულია-26518.81 ლარი.

შესყიდვების კუთხით არის ხარვეზი, კერძოდ, 2022 წლის შესყიდვის გეგმა დაკორექტირებულია 2024 წელს. კანონის მიხედვით, წლიური ცვლილების განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი წლის შესყიდვის გეგმაში.

2022 წლის 7 ოქტომბერს ი/მ ქეთევან რობაქიძე დადებული N62 ხელშეკრულების შესაბამისად, შეძენილია 699 ლარის საქონელი: ონკანი 3 ცალი ფასი-30 ლარი, ონკანი დგუშით-60 ლარი, შპაკლი -30 ლარის, შლანგი წყლის 100 ლარის, შლანგი გაზის 20 ლარის, ბრეზენტი(გადასაჭიმი პარკი) 120 ლარის, კაბელი 54 ლარის, აქანდაზი 7ც-49 ლარის, საოჯახო გაზქურა-85 ლარი და სხვა. აღნიშნული საქონელიდან, გაზი გადაცემულია ა(ა)იპ „კულტურის, ხელოვნების და შიდა ტურიზმის ცენტრისთვის, რომელსაც შეუერთდა ტურიზმის მიმართულება, ხოლო დანარჩენის გახარჯვაზე და დაზიანებაზე დოკუმენტაცია არაა შედგენილი-დაუდასტურებელია მათი უვარგისობა,

რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ქონების გაფლანგვის რისკი(თაღლითობა). ზოგადად, ორგანიზაციას არ აქვს გახარჯული მცირეფასიანი ინვენტარის აღრიცხვის პრაქტიკა.

#### **რეკომენდაციები:**

1. შესყიდვების გეგმის დაკორექტირება განხორციელდეს კანონის შესაბამისად.
2. დამატებითი კონტროლის მიზნით, დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც განახორციელებს შენახული ინვენტარის დაცვას და გაცემაზე კონტროლს.
3. შვებულების დღეების გახარჯვა დასაქმებულებმა განახორციელონ რაციონალურად.
4. განხორციელდეს სათანადო კონტროლი მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯვაზე.
5. დასაქმებულის ფუნქციები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მის მიერ გამოყენებულ შრომის საათებთან.

#### **შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი**

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების მონიტორინგი მოცემულ საანგარიშო პერიოდში ჩაუტარდა შემდეგ ობიექტებს:

1. 2024 წლის მარტში მონიტორინგი ჩაუტარდა (ა)იპ „სამუსიკო სკოლა“-ს, რომელიც შემოწმდა 2023 წელს. გაცემული 2 რეკომენდაციიდან ორივე შესრულდა;
2. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 3 რეკომენდაციიდან შესრულებულია 2, შესასრულებელი დარჩა 1;
3. ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახელობის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“-ს შესრულებული აქვს ოთხივე რეკომენდაცია;
4. მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს 2 რეკომენდაციიდან 1 აქვს შესრულებული;
5. მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის შემოწმებისას გაცემული 2 რეკომენდაცია ნაწილობრივად შესრულებული და უწყვეტი მონიტორინგის ფარგლებში უახლოეს დღეებში კიდევ მოხდება გადამოწმება დანარჩენი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
6. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 4 რეკომენდაციიდან ოთხივე შესრულებულია;

7. მერიის it(ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი) აუდიტორული შმოწმების რეკომენდაციების მონიტორინგი ჩატარდება 2025 წლის 24 თებერვალს ხოლო ა(ა)იპ „სპორტის ცენტრს“ ჩატარდება 2025 წლის 31 მარტს.

შიდა აუდიტის სუბიექტის საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებში.

### **დასკვნითი ნაწილი**

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, მატერიალური მარაგების კანონთან შესაბამისობის, როგორც აღრიცხვა-კონტროლთან, ასევე ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გამოვლენილია სისტემური ხარვეზები. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია შიდა აუდიტის ობიექტების მიერ, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მათ აღმოსაფხვრელად, რისთვისაც დაინერგა უწყვეტი მონიტორინგის სისტემა და გეგმით დადგენილი მონიტორინგის შემდეგ ისევ გრძელდება მონიტორინგი რისკების საბოლოო აღმოფხვრამდე და/ან მინიმუმამდე დასაყვანად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი

აკაკი ლურსმანაშვილი